ბიზნესისა და ხელოვნების თანამშრომლობის დადებითი მხარეები

მარიამ კიკალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

კულტურის მენეჯერის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი, დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ხელოვნების დაფინანსება კერძო სექტორის მხრიდან ჩვენი დროის მოვლენა არ არის ის მოდის უძველესი სამეფოების ცივილიზაციებიდან. სადაც მეფე, ეკლესია, თავადაზნაურობა, მოგვიანებით შეძლებული მოქალაქეები ხოლო ბოლო დროს კი უკვე მძლავრი კორპრაციებიც ახორციელებენ ხელოვნების დაფინანსებას. იცვლება დრო და მასთან ერთად შეხედულებები, ხელოვნებასა და კერძო სექტორს შორის ურთიერთობის ფორმები. გასულ საუკუნეში კი მძლავრმა კორპორაციებმა სერიოზულად დაიწყეს ზრუნვა ამ საკითხზე, ჩამოაყალიბეს საშუამავლო ორგანიზაციები ბიზნესისა და ხელოვნებისათვის. კერძო სექტორმა გააცნოებიერა, რომ ასეთ ურთიერთობებს მისთვისაც შეუძლია სარგებლის მოტანა. ჩემი კვლევის მიზანია საქართველოს სახელოვნებო ორგანიზაციებისა და ბიზნესის მაგალითზე განვიხილო არსებული მდგომარეობა.

ბიზნეს კომპანიებსა და სახელოვნებო ორგანიზაციებში ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინე რა საშუალებებს იყენებს თითოეული მათგანი ურთიერთთანამშრომლობისთვის, როგორი დამოკიდებულება აქვს დღეს საქართველოში ბიზნესს ხელოვნების მიმართ და რამდენად აქვს გაცნობიერებული მათი ურთიერთობის აუცილებლობა და შედეგები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ბიზნესისა და სახელოვნებო სექტორების ურთიერთობის პრობლემატური და დადებითი მხარეები, შესაბამისად შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები ამ ურთიერთობის განვითარებისათვის. შესაბამისად თემაში შემოთავაზებულია აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზები და გარკვეული რეკომენდაციები ამ ურთიერთობის განვითარებისათვის.

საძიებო სიტყვები: კულტურის დაფინანსება, კულტურა და ბიზნესი